12/164860 22.12.11

ბრძანება № 5207

" 20 " 12 2011

თბილისის არქიტექტურა

**24.03.10 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე**

05.12.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №12/164860-13 განცხადებით მომართა შპს "ემემჯი-2008"-ის წარმომადგენელმა ლამზირა დონაძემ და მოითხოვა 24.03.10 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის დამატება და მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 24.03.10 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, რაფიელ აგლაძის ქ. №47-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი: 003/036) საზოგადოებრივი დანიშნულების (დამხმარე) ობიექტის ასაშენებლად დადგინდა №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა №01.13.05.003.036 საკადასტრო კოდის მქონე 10285.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

09.09.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3634 ბრძანებით შევიდა ცვლილება 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი ნაცვლად 10285.00 კვ.მ-ისა გახდა 6170.00 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდად დაფიქსირდა №01.13.05.003.051. ასევე შეიცვალა მისამართი, ნაცვლად აგლაძის №47-ისა გახდა სტანისლავსკის №12.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: №01.13.05.003.059; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011524170; მომზადების თარიღი: 11.11.11 წელი), რომლის თანახმად საპროექტო მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად შეიცვალა №01.13.05.003.051 საკადასტრო ერთეულის ფართობი ნაცვლად 6170.00 კვ.მ-სა გახდა 4529.00 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი №01.13.05.003.059. აღნიშნული გამიჯვნის შედეგად გამოყოფილი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: №01.13.05.003.058 არ არის უზრუნველყოფილი მისასვლელი სამანქანო გზით.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ამავე დადგენილების თანახმად სამშენებლო მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარაშიძის 7
ტელ.: (+995 32) 72 22 22 ფაქს.: (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობადამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ მომიჯნავე №01.13.05.003.058 საკადასტრო ერთეული უზრუნველყოფილი იქნება მისასვლელი გზით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს “ემემჯი-2008”-ის წარმომადგენელის ლამზირა დონაძის 2011 წლის 05 დეკემბრის №12/164860-13 განცხადება;
2. შეეიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდეს – 4529.00 კ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი – 01.13.05.003.059;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: “პროექტის შეთანხმების სტადიაზე გათვალისწინებული იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთის №01.13.05.003.058 უზრუნველყოფა მისასვლელი სამანქანო გზით;
4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მასალებს დაემატოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: №01.13.05.003.059; განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011524170; მომზადების თარიღი: 11.11.11 წელი);
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

03.01-12
12/6778

ბრძანება № 372

თბილისის არქიტექტურა · 30 · 01 2012

20.12.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №5207 ბრძანებაში ცვლილებისა და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

16.01.12 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს №12/6778-13 განცხადებით მომართა შპს "ემემჯი-2008"-ის წარმომადგენელმა ლამზირა დონაძემ და მოითხოვა, სამსახურის 20.12.11 წლის №5207 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მე-3 პუნქტის ამოღება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 24.03.10 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, რაფიელ აგლაძის ქ. №47-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი: 003/036) საზოგადოებრივი დანიშნულების (დამხმარე) ობიექტის ასაშენებლად დადგინდა №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა №01.13.05.003.036 საკადასტრო კოდის მქონე 10285.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

09.09.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3634 ბრძანებით შეეიდა ცვლილება 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი ნაცვლად 10285.00 კვ.მ-ისა გახდა 6170.00 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდად დაფიქსირდა №01.13.05.003.051. ასევე შეიცვალა მისამართი, ნაცვლად აგლაძის №47-სა გახდა სტანისლავსკის №12. 20.12.11 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილება სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში,

თბილისის მერიის სსიპ სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარჯანს 7
ტელ.: (+995 32) 72 22 22 ფაქს.: (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად შეიცვალა №01.13.05.003.051 საკადასტრო ერთეულის ფართობი ნაცვლად 6170.00 კვ.მ-სა გახდა 4529.00 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი №01.13.05.003.059. გამიჯვნის შედეგად გამოყოფილი მიწის ნაკვეთი - საკადასტრო კოდით: №01.13.05.003.058 დარჩა მისასვლელი გზის გარეშე. შესაბამისად, სამსახურმა 20.12.11 წ. №5207 ბრძანების მე-3 პუნქტით დაავალა დამკვეთს №01.13.05.003.058 საკადასტრო ერთეულის სასარგებლოდ №01.13.05.003.059 მიწის ნაკვეთი დაეტვირთა სერვიტუტით.

სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ №01.13.05.003.058 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს შპს „ნოვას" საკუთრებას. აღნიშნულ ორგანიზაციას ასევე გააჩნია საკუთრებაში №01/13/05/003/020 საკადასტრო ერთეული, რომელიც ესაზღვრება მისასვლელი გზის გარეშე დარჩენილ მიწის ნაკვეთს. სამსახურში წარმოდგენილ იქნა შპს „ნოვას" დირექტორის ზვიად აბულაძის თანხმობა (სანოტარო რეგისტრაცია №120035029, რეგისტრაციის თარიღი: 16.01.12 წ.). წერილობით თანხმობაში ნათქვამია, რომ №01.13.05.003.058 საკადასტრო ერთეული №01/13/05/003/020 მიწის ნაკვეთის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი მისასვლელი გზით. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 20.12.11 წლის №5207 ბრძანებაში შეიტანოს ცვლილება და ამოიღოს მე-3 პუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ებრძანებ:

1. დაკმყოფილდეს შპს "ემემჯი-2008"-ის წარმომადგენელის ლამზირა დონაძის 16.01.12 წლის №12/6778-13 განცხადება;
2. შეიდეს ცვლილება 20.12.11 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №5207 ბრძანებაში, კერძოდ: ამოღებულ იქნას ბრძანების მე-3 პუნქტი;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შპს „ნოვას" დირექტორის თანხმობა (სანოტარო რეგისტრაცია №120035029, რეგისტრაციის თარიღი: 16.01.12 წ.);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტეტურის სამსახურის 24.03.10 წლის №398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და 20.12.11 წლის

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №5207 ბრძანებასთან ერთად;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი 5. არისი ბოჭოიძე